საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N647 2024 წლის 2 მაისი ქ. თბილისი

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (შემდგომში – კომპანია) უზრუნველყოფს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსაზღვრული ალტერნატიული საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას.

2. კომპანიამ ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსაზღვრული ალტერნატიული საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა განახორციელოს პრეისკურანტის საფუძველზე.

3. დაევალოს სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, კომპანიის მიმართვის საფუძველზე, გადახედოს იმ სამუშაოსა და მომსახურების CPV კოდებს, რომელთა შესყიდვა შესაძლებელია პრეისკურანტის საფუძველზე.

№1

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე